11 მაისი, 2020 წელი
#1105-011

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"-ს ქ. თბილისში ნამუშევარი ზეთების ინსინერატორის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კანონით დადგენილ დოკუმენტაციას. ამასთან, მოგახსენებთ, რომ დაგეგმილ საქმიანობას გავლილი აქვს სკოპინგის პროცედურა (2019 წლის 27 ნოემბერის ბრძანება N 2-1162; სკოპინგის დასკვნა N122 (25.11.2019)).

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შესაძლებლობის შემთხვევაში სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს"-ს სახელზე გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

1. გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (სანებართვო მოსაკრებლის მიმღები სახაზინო კოდი: 300773080);
2. დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში- 1 ეგზემპლარი (ნაბეჭდი) და ელ. ვერსია;
3. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციური გეგმა (მანძილების მითითებით);
4. ინსინერატორის ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი- 3 ეგზემპლარი;
5. გზშ-ის ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე -1 ეგზემპლარი;
6. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"-ს რეგისტრაციის თაობაზე;
7. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ინსინერატორის მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის კუთვნილების თაობაზე;
8. დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია და ინსინერატორის განთავსების ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები GIS -ის სისტემაში.

პატივისცემით,

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს"-ს დირექტორი /დავით გიორგობიანი/

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"
საქართველო, ქ. თბილისი, 0131 დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.
ტელ: 995 32 251 77 99/ FAX: 995 32 251 66 99
ელ-ფოსტა: office@hyundai.ge
www.hyundai.ge

Hyundai Auto Georgia
12th km David Agmashenebeli Alley, 0131, Tbilisi, Georgia
TEL: 995 32 251 77 99/ FAX: 995 32 251 66 99
E-mail: office@hyundai.ge
www.hyundai.ge

№ 7163
13.05.2020